ახალგაზრდობის
სააგენტო

KARR1735109186021

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო
ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ, თბილისი 0186.

№ 01/591 **27 / აგვისტო / 2021 წ.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ზვიად (დავით) მხეიძეს

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ბადრი ლიპარტელიანს

ონის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ჩიკვაიძეს

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ავთანდილ უგრეხელიძეს

მოგესალმებით,

მოგეხსენებათ, რომ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს კოორდინირებით, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მომზადდა სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის (2021-2025) დოკუმენტი. სტრატეგიის დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ "საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას 2020-2030 წლებისთვის". 2020 წელს რეგიონული ფორუმების მეშვეობით 700-მდე დაინტერესებული პირისგან მიღებული რეკომენდაციების, სახელმწიფო უწყებებისა და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგიის პროექტის შემუშავება დასრულებულია და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო ახორციელებს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შექმნის კოორდინაციას, რომელიც სტრატეგიის პროექტთან ერთად დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს მთავრობას.

სააგენტოს მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესიც განცორციელდება მონაწილეობრივი პრინციპის დაცვით და ახალგაზრდებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სამოქმედო გეგმას და მოგვაწოდონ რეკომენდაციები აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ამისათვის, ახალგაზრდობის სააგენტომ **დაიწყო მასშტაბური ციფრულ კამპანია გახდი "ახალგაზრდული სტრატეგია 2025-ის" სამოქმედო გეგმის თანაავტორი!**

აღნიშნულ პროცესში მუნიციპალიტეტების ჩართულობა არის ძალიან მნიშვნელოვანი რათა რეგიონებში არსებული საჭიროებები სათანადოდ იყოს ასახული დოკუმენტში.

იმისათვის, რომ თქვენი მუნიციპალიტეტი გახდეს "ახალგაზრდული სტრატეგია 2025-ის" სამოქმედო გეგმის თანაავტორი, გთხოვთ, რომ კომპეტენციის ფარგლებში **გამოგვიგზავნოთ თქვენი რეკომენდაციები 3 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ ელ-ფოსტაზე: info@youthagency.gov.ge**

სტრატეგიის სამოქმედო მიზნების ჩამონათვალს იხილავთ შემდეგ მისამართზე: https://bit.ly/3y53vsS

ასევე გთხოვთ, მხარი დაგვიჭიროთ ადგილობრივად აღნიშნული ინფორმაციის და შესაძლებლობის გავრცელებაში თქვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, **იხილეთ კამპანიის ბმული:**
https://www.facebook.com/109624013843429/posts/390486852423809/

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საქართველოს მთავრობას მხარდაჭერას უწევს გაეროს საკოორდინაციო ჯგუფი ახალგაზრდობის საკითხებზე (UNFPA, UNICEF, UNDP, UNIDO, ILO, UNHCR) და ევროკავშირის პროგრამა საქართველოში „განათლება დასაქმებისთვის" (Skills4Jobs) პროგრამის მეორე

ფაზის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი - „ტექნიკური მხარდაჭერა შრომის ბაზრის საჭიროებებსა და დასაქმებაზე მორგებული ცოდნა-უნარების განვითარებისთვის“.

პატივისცემით,

სააგენტოს ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რევაზ ჩარკვიანი